

პროგრამის სახელწოდება

ფილებით კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება



პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 17 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: არ აქვს

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები : პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ფილებით იატაკისა და კედლის მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოებას შრომის უსაფრთხოების გათვალისწინებით.

პროგრამის მოკლე აღწერა

ფილებით კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებელი სამუშაოების პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლების განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში.
- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

სწავლება განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

**სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)
კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- ტიპური სამუშაო გარემოს აღწერა
- არქიტექტურული და სამშენებლო ნახაზების კითხვა
- სხვადასხვა ზედაპირების ფართობების და მოცულობების განსაზღვრა
- კედლის და იატაკის ხარისხობრივი მაჩვენებლის დახასიათება
- ფილისქვეშა ჰიდროიზოლაციის გაკეთება
- კედლის და იატაკის დაკვალვითი სამუშაოების წარმოება
- კედელზე ფილების გაკვრა
- შემაერთებელი რიგის გაკვრა
- იატაკზე ფილების დაგება
- ნაკერების შევსება სხვადასხვა შემავსებლით

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს „ალიანსი“
- შპს „რემონტი ჯ“

დასაქმების სფერო/სფეროები:

- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (ფართო სფერო)